

**საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის პროექტზე გამართული
საჯარო კონსულტაციების შემაჯამებელი ანგარიში**

როგორც პოლიტიკის დაგეგმვის, მონიტორინგისა და შეფასების სახელმძღვანელოშია აღნიშნული, პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების ციკლი არის ინკლუზიური პროცესი და გულისხმობს თითოეულ ეტაპზე დაინტერესებული მხარეების აქტიურ ჩართულობას, რაც პოლიტიკის დოკუმენტების ლეგიტიმურობის ხარისხს მნიშვნელოვნად ზრდის.

საქართველოს 2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის შემთხვევაში, დაინტერესებული მხარეების იდენტიფიცირება, ერთი შეხედვით, მარტივი ამოცანაა, სექტორის სპეციფიკიდან გამომდინარე და იმ გარემოების გათვალისწინებით, რომ ამ სფეროში ეს ქვეყნის რიგით მესამე სტრატეგიული დოკუმენტია. თუმცა პრაქტიკაში ასე არაა, რადგან წლიდან წლამდე ჩნდება ახალი და განსხვავებული გამოწვევები, მათთან ერთად კი იცვლება სფეროს მარეგულირებელი საკანონმდებლო და ინსტიტუციური ჩარჩო, ვითარდება თვითონ სექტორი, რასაც თან სდევს ახალი აქტორების და სამიზნე ჯგუფების გაჩენა, რომლებზეც სტრატეგიის განხორციელება გავლენას მოახდენს და პირიქით. სწორედ ამიტომ სახელმწიფოს სექტორული პოლიტიკის ფორმირების პროცესში უდიდესი მნიშვნელობა ენიჭება შესაბამისი ცოდნის მქონე საერთაშორისო, არასამთავრობო და აკადემიური წრეების ჩართულობასა და ექსპერტიზას.

2021-2030 წლების მიგრაციის სტრატეგიის მომზადების პროცესი და მასთან დაკავშირებული საჯარო კონსულტაციები საქართველოს მთავრობის 2019 წლის 20 დეკემბრის №629 დადგენილებით დამტკიცებული „პოლიტიკის დოკუმენტების შემუშავების, მონიტორინგისა და შეფასების წესის“ შესაბამისად წარიმართა. მიგრაციის საკითხთა სამთავრობო კომისიის (მსსკ/კომისია) პარტნიორი ორგანიზაციების ჩართულობა სტრატეგიის შემუშავების დასაწყისშივე იყო უზრუნველყოფილი. პირველ ეტაპზე მათ (კომისიის ფარგლებში საკონსულტაციო სტატუსის და შესაბამისი საექსპერტო ცოდნის მქონე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებს), მიგრაციის ლაბორატორიის¹ (სამუშაო ჯგუფი²) გადაწყვეტილებით, წარედგინათ 2021-2030 წლების საქართველოს მიგრაციის სტრატეგიის კონცეფცია, რომელიც მოგვიანებით (2019 წ.) მათთან ერთად იქნა მიღებული კომისიის მიერ. მეორე ეტაპზე (2020 წ. თებერვალი), მიგრაციის ლაბორატორიის მიერ სიტუაციის (პრობლემების) ანალიზის წარმოდგენა ეთხოვა მსსკ-ში საკონსულტაციო

¹ კომისიის მიგრაციის ლაბორატორიის (ლაბორატორია) პორტფელი მოიცავს მუშაობას სტრატეგიასა და მის სამოქმედო გეგმებზე, ასევე მოკლე და საშუალო ფორმატის მიგრაციის პროფილებზე; „მიგრაცია და განვითარების“ მიმართულებით საქმიანობის კოორდინაციას და სხვადასხვა ანალიტიკური პროდუქტების მომზადებას. ლაბორატორია შედგება მსსკ-ის წევრი უწყებების, ასევე მოწვეული პარტნიორი სახელმწიფო უწყებების და კომისიაში საკონსულტაციო სტატუსის მქონე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციებისგან, რომელთაც საჭიროების შემთხვევაში ლაბორატორია მიმართავს ექსპერტიზისათვის.

² ლაბორატორიის ფარგლებში შეკრებილი მსსკ-ის სტრატეგიაზე მომუშავე ჯგუფი, სადაც კომისიის წევრ სახელმწიფო უწყებებთან ერთად წარმოდგენილი იყვნენ კომისიის ფარგლებში საკონსულტაციო სტატუსის და შესაბამისი საექსპერტო ცოდნის მქონე საერთაშორისო და არასამთავრობო ორგანიზაციები.

სტატუსის მქონე ოთხ საერთაშორისო ავტორიტეტულ ორგანიზაციას³, რომელთა მოწოდებული ვრცელი მასალა ლაბორატორიის მიერ მაქსიმალურად იქნა გამოყენებული სტრატეგიის სიტუაციის ანალიზზე მუშაობისას და შესაბამისი სტრატეგიული ამოცანების განსაზღვრისას.

საჯარო კონსულტაციების მესამე ფაზა (2020 წლის ოქტომბერ-ნოემბერი) უფრო წარმომადგენლობითი და ინკლუზიური იყო. საერთაშორისო პარტნიორებთან წინასწარი კონსულტაციის საფუძველზე მომზადებული სტრატეგიის პროექტი პარალელურ და მაქსიმალურად დაჩქარებულ რეჟიმში ითარგმნა ინგლისურ ენაზე და ელექტრონული ფოსტით გაეგზავნა იმ ზემოხსენებულ საერთაშორისო ორგანიზაციებს, რომელთა მიერ მოწოდებული სიტუაციის (პრობლემების) ანალიზი გამოყენებულ იქნა სტრატეგიის შემუშავებისას. ამავდროულად, ეს პროცესი გარკვეულწილად მათი კონტრიბუციის ვერიფიკაციასაც ისახავდა მიზნად. სტრატეგიის პროექტის გაგზავნასთან ერთად, ხსენებულ ორგანიზაციებთან საგანგებოდ გაიმართა დისტანციური შეხვედრა, რომელზეც მონაწილეებმა განიხილეს დოკუმენტთან დაკავშირებული სხვადასხვა სპეციფიკური საკითხი (მაგ., ის, რომ სტრატეგია მომზადდა მთავრობის მიერ დამტკიცებული პოლიტიკის დაგეგმვის ახალი სახელმძღვანელოს მოთხოვნების შესაბამისად და ა.შ.), რათა პარტნიორებს გაადვილებოდათ დოკუმენტის არქიტექტურის აღქმა და მასზე მუშაობა. მოგვიანებით (2020 წ. ნოემბერში) სტრატეგიის პროექტი ელექტრონული ფოსტით გაეგზავნა მსსკ-ში საკონსულტაციო სტატუსის მქონე ოთხ არასამთავრობო ორგანიზაციას⁴, აგრეთვე, სახალხო დამცველის აპარატს, საქართველოს მთავრობის ადმინისტრაციის ადამიანის უფლებათა დაცვის სამდივნოს (მათ შორის საქართველოს პრემიერ-მინისტრის მრჩეველს ადამიანის უფლებების და გენდერული თანასწორობის საკითხებში) და თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტს⁵.

აღნიშნულ ორგანიზაციებს სტრატეგიის პროექტთან ერთად გაეგზავნათ მსსკ-ის სამდივნოს მიერ საგანგებოდ მომზადებული ცხრილი (იხ. სურათი №1) კომენტარებისა და რეკომენდაციების თემატური მიმართულებების მიხედვით ორგანიზებულად და სტრუქტურულად წარმოსადგენად.

სურათი №1

<i>სტრატეგიის ნაწილი</i>	<i>პარტნიორი ორგანიზაციის მოსაზრება/რეკომენდაცია</i>	<i>მსსკ-ის საპასუხო პოზიცია</i> <i>(კომისიის წევრი პროფილური უწყების დასაბუთებული პოზიცია პარტნიორი</i>
------------------------------	--	--

³ მიგრაციის საერთაშორისო ორგანიზაცია (IOM), მიგრაციის პოლიტიკის განვითარების საერთაშორისო ცენტრი (ICMPD), გაეროს ლტოლვილთა უმაღლესი კომისარიატი (UNHCR), გერმანიის საერთაშორისო თანამშრომლობის საზოგადოება (GIZ). საქართველოში ევროკავშირის დელეგაციას (EUD) და მათი მეშვეობით ევროკომისიის დოკუმენტი გაეგზავნა მე-3 ეტაპზე, რადგან მათი მხრიდან სიტუაციის წინასწარი ანალიზის საფუძველად გამოყენებულ იქნა ე.წ. შეჩერების მექანიზმის ევროკომისიის ყოველწლიური ანგარიშები და ასევე ასოცირების შეთანხმების განხორციელების დღის წესრიგის ეროვნული ანგარიშები თავისი რეკომენდაციებით. სათანადოდ ევროკავშირთან კონსულტაციები მე-3 ფაზიდან მოყოლებული გაიმართა ორ რაუნდად და დასრულდა 2020 წლის დეკემბრის თვეში.

⁴ ინოვაციების და რეფორმების ცენტრი; მიგრაციის ცენტრი; საქართველოს ახალგაზრდა იურისტთა ასოციაცია; სამოქალაქო განვითარების სააგენტო. ამ ორგანიზაციებთან დოკუმენტის მე-3 ეტაპზე გაგზავნა განაპირობა იმ ძირითადმა ფაქტმა, რომ მათი მიგრაციის სფეროში საქმიანობა უმთავრესად ხორციელდება იმ საერთაშორისო ორგანიზაციების დახმარებით და მათ მიერ/მათთან ერთად განსაზღვრული პრიორიტეტული თემატური მიმართულებების მიხედვით, რომელთაც მიგრაციის ლაბორატორიამ საწყის ეტაპზევე მიმართა.

⁵ თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტსა (თსუ) და მსსკ-ის შორის დადებული ურთიერთთანამშრომლობის მემორანდუმის ფარგლებში გაგზავნილი სტრატეგიის პროექტის განხილვაში მონაწილეობდა თსუ-სა და საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის (GIPA) მიგრაციის მართვის ერთობლივი სამაგისტრო პროგრამის აკადემიური პერსონალი.

Part of the Strategy	<i>(პარტნიორი ორგანიზაციის მოსაზრება/რეკომენდაცია უნდა იყოს კონკრეტული და საჭიროების შემთხვევაში შემოთავაზებული იყოს შესაბამისი ალტერნატიული ფორმულირება)</i> Partner Organizations' comments/recommendations <i>(Comments/recommendations of the partner organizations should be concrete and in case of need relevant alternative formulations should be submitted)</i>	ორგანიზაციის თითოეულ მოსაზრებასა და რეკომენდაციაზე SCMI Response <i>(Substantiated positions of the relevant SCMI member agencies on the each comment/recommendation)</i>
-----------------------------	--	---

საჯარო კონსულტაციების მესამე ეტაპზე პარტნიორი ორგანიზაციებისგან წარმოდგენილ იქნა სხვადასხვა ტიპის და მოცულობის 110-ზე მეტი რეკომენდაცია და კომენტარი.


პარტნიორი ორგანიზაციების ყველა დაფიქსირებული რეკომენდაცია/კომენტარი დეტალურად იქნა განხილული მსკ-ის მიგრაციის ლაბორატორიის ფარგლებში და თითოეულ მათგანზე მომზადდა პროფილური უწყებ(ებ)ის დასაბუთებული პასუხი ავტორი ორგანიზაციის შემოთავაზების გათვალისწინების, ნაწილობრივ გათვალისწინების ან არ გათვალისწინების შესახებ. ამასთან, პარტნიორი ორგანიზაციების მიერ წარმოდგენილი რეკომენდაციების/კომენტარების განხილვის შედეგების და სტრატეგიაში გათვალისწინების საკითხის ობიექტურად შეფასების მიზნით, მომზადდა შესაბამისი სტატუსების მინიჭების კრიტერიუმები (იხ. სურათი №2).

სურათი №2

სტატუსი / Status	სტატუსის მინიჭების კრიტერიუმი / Criterion for defining the status
გათვალისწინებულია Reflected	<p>პარტნიორი ორგანიზაციის რეკომენდაცია/კომენტარი სტრატეგიაში ასახულია იმ ფორმით და შინაარსით, რომელიც პარტნიორმა ორგანიზაციამ წარმოადგინა.</p> <p>Remark / comment of the partner organization has been reflected in the Strategy in the same form and content it was presented.</p>
ნაწილობრივ გათვალისწინებულია Partially Reflected	<ul style="list-style-type: none"> • პარტნიორი ორგანიზაციის რეკომენდაციის/კომენტარის საფუძველზე ან მისი გავლენით გარკვეული ცვლილებები შევიდა სტრატეგიის ტექსტში, თუმცა არა ზუსტად ისეთი ფორმულირებით, როგორსაც პარტნიორი ორგანიზაცია ვეთავაზობდა / Amendments were made to the Strategy based on or resulted from the remark / comment made by partner organization although not in the same wording as presented; • პარტნიორი ორგანიზაციის რეკომენდაცია/კომენტარი სტრატეგიის ტექსტში არ ასახულა, თუმცა სამოქმედო გეგმაში იქნება გათვალისწინებული / Remark / comment made by partner organization has not been reflected in the Strategy but will be considered in the Action Plan.
არ არის გათვალისწინებული Not Reflected	<p>პარტნიორი ორგანიზაციის რეკომენდაციის/კომენტარის საფუძველზე სტრატეგიის ტექსტში (მათ შორის, არც ლოგიკურ ჩარჩოში და არც სამოქმედო გეგმაში) ცვლილება ან შესწორება არ განხორციელებულა / No amendment / change has been made to the Strategy (also neither in the log frame or Action Plan).</p>

აღსანიშნავია, რომ პარტნიორი ორგანიზაციების იმ რეკომენდაციების დიდი ნაწილი, რომელიც არ იქნა გათვალისწინებული, უმეტესად ტექნიკური ხასიათის⁶ იყო (ხშირ შემთხვევაში, თარგმანის და/ან ტერმინების ორაზროვან ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული) და სხვადასხვა ფორმით უკვე იყო ასახული სტრატეგიის ორიგინალ, ქართულენოვან ვერსიაში და მის ლოგიკურ ჩარჩოში. თითოეულ რეკომენდაციაზე/კომენტარზე (მათ შორის გათვალისწინებულებზეც) პარტნიორ ორგანიზაციებთან დამატებით შედგა ინდივიდუალური უკუკავშირი და ზემოთ წარმოდგენილი ცხრილის (სურათი №1) მეშვეობით დეტალური და არგუმენტირებული საპასუხო პოზიცია მიეწოდათ ელექტრონული ფოსტის საშუალებით, როგორც ინგლისურ, ისე ქართულ ენაზე.

№2 სურათზე წარმოდგენილი კრიტერიუმების საფუძველზე მინიჭებული სტატუსების შესაბამისად, პარტნიორ ორგანიზაციებთან მიგრაციის სტრატეგიის საბოლოო პროექტზე გამართული კონსულტაციების შედეგები რაოდენობრივად და გრაფიკულად შემდეგნაირად გამოიყურება:



⁶ სიტუაციის (პრობლემების) ანალიზისგან განსხვავებით.